პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 ოქტომბერი, 1944 წ. № 213 (7166). ფასი 20 კაპ.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს უნგრეთის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი დებრეცენი.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან ერთად, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, 20 ოქტომბერს, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი.

დიდება გმირი წითელი არმიის მამაც მეომრებს!

საღამი მოძმე იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 20 ოქტომბერს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების შემოვლითი მანევრის შედეგად, ფრონტალურ იერიშთან შეხამებით, იერიშით დაიკავეს უნგრეთის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი **დებრეცენი** — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ **დებრეცენის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **პლიევის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორშკოვის**, გენერალ-მაიორ **გოლოვსკის**, გენერალ-მაიორ **სლანოვის**, გენერალ-მაიორ **გრიგორიოვიჩის**, გენერალ-მაიორ **კრუტოვსკიხის**, პოლკოვნიკ **რევის**, პოლკოვნიკ **დემჩუკის** ყუბანელმა და დონელმა კავალერისტმა კაზაკებმა; გენერალ-მაიორ **კუცის**, გენერალ-მაიორ **პავლოვის**, გენერალ-მაიორ **გელოუსოვის**, გენერალ-მაიორ **ხრუსტალიოვის** კავალერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კურკინის**, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კრასოვენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ეზმანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კატკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **საველიევის**, პოლკოვნიკ **ბეზნოშენკოს**, პოლკოვნიკ **შტანკოს**, პოდპოლკოვნიკ **ვორონინის**, პოდპოლკოვნიკ **ივლიევის**, პოლკოვნიკ **მარშევის**, პოლკოვნიკ **ჟუკოვის**, პოლკოვნიკ **კოპიენკოს**, მაიორ **სიმელიაკოვის**, პოლკოვნიკ **ჟილინის**, პოდპოლკოვნიკ **პავლოვსკის**, მაიორ **ლიტვინის** ტანკისტებმა; გენერალ-მაიორ **სემიონოვის**, გენერალ-მაიორ **მიხაილოვის**, პოლკოვნიკ **გოროზეცის** ჯარებმა, პოლკოვნიკ **კამბრიას** რუმინელთა ქვეითმა დივიზიამ; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **გუსევის**, პოლკოვნიკ **მარჩენკოს**, პოლკოვნიკ **დერებენეცის**, პოლკოვნიკ **ფელდმანის**, პოლკოვნიკ **ტიხომიროვის**, პოლკოვნიკ **გრიშინის**, პოლკოვნიკ **ერისტოვის** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სტეპიჩევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პროკოფიევ-სევეროვის**, პოდპოლკოვნიკ **შუტეევის**, პოლკოვნიკ **ტარანენკოს**, პოლკოვნიკ **იუდაკოვის**, პოლკოვნიკ **გეიბოს**, პოლკოვნიკ **ჩიჟიკოვის**, პოლკოვნიკ **ჩანკალოვის**, მაიორ **ილარიონოვის**, მაიორ **მატვეენკოს** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ცირლინის**, პოლკოვნიკ **ფადეევის**, პოდპოლკოვნიკ **გოლუკოვიჩის**, პოდპოლკოვნიკ **ფილიანინის**, პოლკოვნიკ **კოვალენკოს**, მაიორ **ხოდარევის**, მაიორ **გუსოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბადაევის**, პოდპოლკოვნიკ **კილოსოვის**, პოდპოლკოვნიკ **პოლეტაევის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ლეონოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბუნინის**, პოლკოვნიკ **შერვუდის**, პოდპოლკოვნიკ **სტრელეცკის**, პოდპოლკოვნიკ **იაცენკოს**, მაიორ **ჩეპელიოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლუკიანოვის**, მაიორ **კლიმოვის**, პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **დებრეცენის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**დებრეცენის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **დებრეცენი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **დებრეცენის** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, **იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის** ჯარებთან ერთად, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაამთავრეს გერმანელთა გარნიზონის მოსპობა ქალაქ **ბელგრადში** და დღეს, 20 ოქტომბერს, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიის დედაქალაქი.

ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გაგენის**, გენერალ-მაიორ **შკოდუნოვიჩის**, გენერალ-მაიორ **აკიმენკოს**, გენერალ-მაიორ **კრავცოვის**, გენერალ-მაიორ **ლაზარევის**, გენერალ-მაიორ **კოზაკის**, გენერალ-მაიორ **მილიაევის**, პოლკოვნიკ **მუხამედიაროვის**, პოლკოვნიკ **საგიტოვის**, პოლკოვნიკ **სალიჩევის**, პოლკოვნიკ **კულიუსკის**, პოლკოვნიკ **სიდორენკოს**, პოლკოვნიკ **სიჩოვის**, პოლკოვნიკ **ბოლდინოვის** ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ **პეკო დაპჩევიჩის**, გენერალ-ლეიტენანტ **დანილო ლეკიჩის**, პოლკოვნიკ **დისკო იოვანიჩის**, პოდპოლკოვნიკ **მილოშ შილეგოვიჩის**, პოლკოვნიკ **რადე მილოევიჩის**, პოლკოვნიკ **ვასო იოვანოვიჩის**, პოლკოვნიკ **როდოსლავ იოვიჩის**, პოლკოვნიკ **მირკო პერეჩინის** იუგოსლავიელთა ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ვოზნიუკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრეიდოს**, პოლკოვნიკ **დანშინის**, პოლკოვნიკ **გლადკოვის**, პოლკოვნიკ **ბიკოვსკის**, პოლკოვნიკ **სოლოვიოვის**, პოდპოლკოვნიკ **ნეჩაევის**, პოდპოლკოვნიკ **სმოლკინის**, პოდპოლკოვნიკ **მახლინის**, პოდპოლკოვნიკ **ლეონოვის**, მაიორ **სელეზნიოვის**, მაიორ **ნიზკოვის**, მაიორ **როდიონოვის**, მაიორ **ლეონოვის**, მაიორ **შარინის**, პოდპოლკოვნიკ **დამაევის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სუხორუჩკინის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ჟდანოვის**, პოლკოვნიკ **სერგეევის**, პოლკოვნიკ **ნიკიტინის**, პოლკოვნიკ **ანდრიანოვის**, პოლკოვნიკ **ზავიალოვის**, პოლკოვნიკ **ჟუკოვის**, პოდპოლკოვნიკ **დვორკინის**, მაიორ **შევკინის**, მაიორ **კოტილოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ტოლსტიკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ვიტრუკის**, პოლკოვნიკ **სმირნოვის**, პოდპოლკოვნიკ **შატილინის**, პოლკოვნიკ **ივანოვის** მფრინავებმა; დუნაის სამხედრო ფლოტილიის ვიცე-ადმირალ **გორშკოვის**, მე-2 რანგის კაპიტან **დერეუავინის**, კაპიტან-ლეიტენანტ **ბარგოტკოს**, უფროს ლეიტენანტ **ბუტვინის**, პოდპოლკოვნიკ **იაბლონსკის** ხომალდებმა და ნაწილებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კოტლიარის**, პოლკოვნიკ **ზაგრებინის**, პოლკოვნიკ **ილჩენკოს**, პოლკოვნიკ **გაგურინის**, პოდპოლკოვნიკ **გონჩარის**, ინჟინერ-მაიორ **ჯაიცევის**, მაიორ **კოვალიოვის**, მაიორ **ზემლიანუხინის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოროლიოვის**, პოლკოვნიკ **სტაროლეტოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოგბის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **ბელგრადის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ბელგრადის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს იუგოსლავიის დედაქალაქი **ბელგრადი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ბელგრადის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს და მოძმე იუგოსლავიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 20 ოქტომბერი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკე მოსკოვში ბ-ნ ჩერჩილისა და ბ-ნ იდენის ყოფნის გამო

მოსკოვში 9 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე სწარმოებდა ბ-ნ ჩერჩილისა და ბ-ნ იდენის, რომლებიც შეერთებულ სამეფოს წარმოადგენენ, და მარშალ სტალინისა და ვ. მ. მოლოტოვის თათბირი მათ პოლიტიკურ და სამხედრო მრჩეველთა მონაწილეობით. უკანასკნელი ამბებისა და დასავლეთ ევროპაში წარმოებული ომის შესახებ კვებეკის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამომწურავად იქნა განხილული თეირანში შეთანხმებული სამხედრო გეგმების გაშლა და გამოთქმულ იქნა მტკიცე რწმენა, რომ მომავალში მოკავშირეთა ოპერაციები განვითარდება ყველა ფრონტზე.

მრავალ პოლიტიკურ საკითხზე, რაც საერთო ინტერესს წარმოადგენს, ადგილი ჰქონდა აზრთა თავისუფალ და გულწრფელ გაცვლა-გამოცვლას.

მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება იმ მხრივ, რომ გადაწყდეს ჰოლონნთის საკითხი, რომელიც დაწვრილებით იქნა განხილული საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის მთავრობების მიერ. მათ საუბრები ჰქონდათ როგორც ლონდონში მყოფი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან, ისი ლიუბლინში მყოფი ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარესთან და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარესთან. ამ მოლაპარაკებამ მნიშვნელოვნად შეამცირა აზრთა სხვადასხვაობა და გაჰფანტა გაუგებრობანი. მოლაპარაკება გრძელდება გადაუწყვეტელ საკითხებზე.

მთლიანად იქნა განხილული ამბების მსვლელობა საბრძოლო-აღმოსავლეთ ევროპაში. მიღწეულია შეთანხმება ბულგარეთთან დროებითი ზავის პირობების იმ საკითხებზე, რომლებიც გადაუწყვეტელი რჩებოდა. ორივე მთავრობა შეთანხმდა გაატარონ იუგოსლავიაში ერთობლივი პოლიტიკა იმ მიზნით, რომ მთელი ენერგია კონცენტრირებულ იქნას გერმანელთა წინააღმდეგ, რომლებიც უკან იხევენ, და იმ მიზნით, რომ იუგოსლავიის შინაგანი სიძნელენი გადაწყვეტილ იქნას იუგოსლავიის მეფის მთავრობისა და ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობ-ს გაერთიანების გზით. იუგოსლავიელი ხალხის უფლება — თვითონ გადაწყვიტოს საკითხი თავისი მომავალი სახელმწიფო წყობილებისა ომის შემდეგ — რა თქმა უნდა, მიჩნეულია როგორც განუყრელი უფლება.

თათბირის შესახებ იცოდა და იგი მოიწონა შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც მოლაპარაკების დროს წარმოდგენილი იყო შეერთებული შტატების ელჩით მოსკოვში ბ-ნ ავერელ ჰარიმანით, როგორც მეთვალყურით.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ დიდი ბრიტანეთის, პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უ. ჩერჩილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი

19 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უინსტონ ჩერჩილი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ანტონი იდენი ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსის ფელდმარშალ ა. ბრუკის, გენერალ ხ. ლ. ისმეის და სხვათა თანხლებით.

აეროდრომზე ბ-ნი ჩერჩილი, ბ-ნი იდენი და მათი თანმხლები პირნი ეგააცილეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეებმა ა. ი. ვიშინსკიმ და ი. მ. მაისკიმ, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ვ. ასტაფიევმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

აეროდრომზე იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. ჯ. კერი, კანადის ელჩი ბ-ნი ა. დანა უილგრესი, ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონეი, ახალი ზელანდიის დესპანი ბ-ნი ჩ. ბოსველი, ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი მ. ბაროსი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები და სამხედრო მისიის წევრები.

გზაზილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული ოა შესრულებულ იქნა ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ უ. ჩერჩილის სიტყვა

19 ოქტომბერს, მოსკოვიდან გამგზავრების წინ, აეროდრომზე, კინოქრონიკის მიკროფონთან ბ-ნ უ. ჩერჩილმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„მარშალო სტალინ, თქვენო აღმატებულებანო, ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო, სამხედრო ამხანაგებო, აქ შეკრებილნო!

ახლა მე ვამთავრებ დაძაბულობით აღსავსე, მაგრამ ამავე დროს უაღრესად სასიამოვნო ყოფნას მოსკოვში. ჩვენ ბევრს ვმუშაობდით. როგორც გუშინ საღამოს ვთქვი, ჩვენს თათბირზე ჩვენ ვიყავით მუშები და ჯარისკაცები, მაგრამ ის დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობა და გულითადი მეგობრობა, რომლებითაც ჩვენ მოგვესალმებოდნენ და რომლებითაც გვიღებდნენ, მეც და ჩემს მეგობარსა და კოლეგას, საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ იდენს, უაღრესად სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩა ამ დაძაბული და სერიოზული დღეების შესახებ.

ჩემთვის ყველაზე დიდი კმაყოფილება და პატივი იყო ის, რომ მე ესოდენ ბევრჯერ მქონდა ხანგრძლივი და გულითადი საუბარი ჩემს მეგობართან და სამხედრო ამხანაგთან მარშალ სტალინთან და ის, რომ მე ვმუშაობდი ბევრ ძნელ საკითხზე, რაც განუყრელად არის დაკავშირებული დიდ ხალხთა გაერთიანებულ წინსვლასთან ომის ბედის მრავალრიცხოვან ცვალებადობათა გზით.

მე ღრმად ვარ დაიმედებული და მჯერა, ვინაიდან მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მხედართმთავარი — სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც სსრ-ში უდგას რუსეთს, გამოატარებს რუს ხალხს, რუსეთის ყველა ხალხებს ქარიშხლის ამ წლებში და მიიყვანს **ყველასათვის უფრო თავისუფალი და ბედნიერი სუფლების** მზიან დღეებამდე და რომ ამ ამოცანის შესრულებაში — მასთან ერთად ივლიან ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნები და ამერიკის **მძლავრი შეერთებული შტატები**“.

ი. ი. ალიევი—უზბეკეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ტაშკენტი, 18 ოქტომბერი. (საკადესი). უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. იაკუბ იუსუფოვ-ის ალიევი დანიშნულია უზბეკეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

სახელმწიფო პრემია ენერგეტიკოსებს

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. (საკადესი). რიონის ჰიდროელადგური 7 თვის განმავლობაში უავარიოდ და უწუნოდ მუშაობს. სისტემატური გადაჭარბებით სრულდება ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა.

სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარმა ამხ. �renმა აღნიშნა რიონჰესის მიღწევები და ფულადი პრემიით — სამი თვის ხელფასით დაჯილდოვა სადგურის ხელმძღვანელი მუშაკები: დირექტორი ამხ. გაჩეჩილაძე, ყოფილი მთავარი ინჟინერი ამხ. ჩხაიძე, სამანქანო საამქროს უფროსი ამხ. კვანტალიანი, ელექტროსაამქროს უფროსი ამხ. შავგულიძე, ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი ამხ. წითლიძე.

რუსული კლასიკური დრამაგურგიის ნაწარმოებთა მეორე დათვალიერება ნაციონალურ თეატრთა სცენაზე

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. (საკადესი). სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა დასახა ნაციონალურ რესპუბლიკების თეატრების სცენაზე რუსული კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებთა დათვალიერების ჩატარება 1945 წელს. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი, ერევნის სუნდუკიანის სახელობის თეატრი, ბაქოს აზიზბეკოვის სახელობის თეატრი, აგრეთვე შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების რუსული დრამატიული თეატრები.

მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის დირექტორს ამხ. ბისოსკის
მთავარ ინჟინერს ამხ. კუდრიავცევს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხ. ბასკაკოვს
ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. გოლუნოვს

ვულოცავ მოლოტოვის სახელობის უძველესი საარტილერიო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივს ოთხმოცი წლის საწარმოო მოქმედებას.

თავისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე და განსაკუთრებით სამამულო ომის ძნელ პირობებში ქარხნის კოლექტივმა წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვით შეჰქმნა ახალი ნიმუშების მძლავრი საარტილერიო შეიარაღება და შესძლო ამ შეიარაღებით წითელი არმიის საჭიროების უზრუნველყოფა.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

შეიარაღების სახალხო კომისარიატის № № 74 და 71 ქარხნების დირექტორებს ამხანაგებს ივანოვსა და მედვედევს
მთავარ ინჟინრებს ამხანაგებს გინდინსონსა და მოროზენსკის
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს ამხანაგებს გლუხოვსა და საველიევს
ქარხკომების თავმჯდომარეებს ამხანაგებს პლიშკინსა და ლიგვინოვს

ვულოცავ იარაღისა და მეტალურგიული ქარხნების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებს საწარმოო მოქმედების 135 წლისთავს.

ომიანობის დროის ძნელ პირობებში ქარხნების კოლექტივებმა წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით, ნაკადური წარმოების ფართოდ გამოყენებით მნიშვნელოვნად გაადიდეს სასროლო და საავიაციო შეიარაღებისა და მალალხარისხოვანი ფოლადის გამოშვება, აგრეთვე წარმოებაში აითვისეს ახალი ნიმუშების შეიარაღება და შეუფერხებლად უზრუნველჰყოფენ ამ შეიარაღებით წითელი არმიის საჭიროებას.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
შეიარაღების სახალხო კომისარიატის მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი ნიმუშების მძლავრი ზარბაზნების შექმნის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისა და არტილერიით ფრონტის უზრუნველყოფისათვის, საწარმოო მოქმედების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით, შეიარაღების სახალხო კომისარიატის მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხანა დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 71 მეტალურგიული ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასროლო შეიარაღებისა და ავიაციისათვის ახალი მარკების მალალხარისხოვანი ფოლადის შექმნისა და გამოშვების საქმეში დამსახურებისათვის, 135 წლისთავის აღსანიშნავად, შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 71 მეტალურგიული ქარხანა დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის ლენინის ორდენოსანი № 74 იარაღის ქარხნის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სასროლო შეიარაღების წარმოების მოწყობის საქმეში დამსახურების, ახალი ნიმუშების სასროლო და საავიაციო შეიარაღების შექმნისა და ამ შეიარაღებით ფრონტის უზრუნველყოფისათვის, 135 წლისთავის აღსანიშნავად, შეიარაღების სახალხო კომისარიატის ლენინის ორდენოსანი № 74 იარაღის ქარხანა დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 20 ოქტომბერი.

საქართველოს მრავალეროვანი ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

20 ოქტომბრის განმავლობაში ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს დასახლებული პუნქტები ფერნეზი-დე-სუსი, როშიორი, ეგერიუტე, კილია, სოკოლნეზელი, კორნი, ხოდოდი, გაგუკა, ჩეხალი, დიუშირი, იტეუ.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 20 ოქტომბერს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების შემოვლითი მანევრის შედეგად, ფრონტალურ შეტევასთან შეხამებით, იერიშით დაიკავეს უნგრეთის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი დებრეცენი — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ბაჩალმაში და იუგოსლავიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები და რკინიგზის სადგურები ბაიმოკი, ბაჩკატოპოლა, ნოვი ვრბასი, სრბობრანი, დიდი დასახლებული პუნქტები უეზნიკი, დუშანოვაცი, ნოვო სელო, კაჩირი, სტარაია მორავიცა, ბაიშა, ემუშიჩი, ბალი იდოში, სეკიჩი, ფეკეტიჩი.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან ერთად, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაამთავრეს გერმანელთა გარნიზონის მოსპობა ქალაქ ბელგრადში, და 20 ოქტომბერს გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიის დედაქალაქი.

ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს მოწინააღმდეგის ჯარების გარშემორტყმული ჯგუფის ლიკვიდაცია. ამ რაიონში წარმოებული ბრძოლების განმავლობაში 18-დან 20 ოქტომბრამდე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 8.147 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 20 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 318 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 94 ნაღმსატყორცნი, 320 ტყვიამფრქვევი, 6.000-ზე მეტი შაშხანა და ავტომატი, 20 ჯავშანტრანსპორტიორი, 76 რადიოსადგური, 3.000 ავტომანქანა, 2.250 საზიდარი სამზედრო ტვირთიანად, 3.500 ცხენი, 150 მოტოციკლი, 24 საწევარი, 26 საწყობი საომარ მასალებიანად, საკურვლიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 9.000-მდე გვამი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

19 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 189 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 შენაერთის ნაწილებმა დასძლიეს მთების ფერდობებზე გამაგრებული მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და დაიკავეს დასახლებული პუნქტი ფერნეზი-დე-სუსი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა გადალახეს ტყიანი მთები და დაიკავეს ქალაქ სატუ-მარეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 კილომეტრზე მდებარე სოფელი კილია. ერთ რაიონში საბჭოთა ტანკისტები დაეწივნენ გერმანელთა ბატალიონს, რომელიც სალაშქრო წყობით მიდიოდა. ჩვენმა მებრძოლებმა იერიშით მიიტანეს მტრის კოლონაზე და 300-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს. დანარჩენმა გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა შესწყვიტეს წინააღმდეგობა და ტყვედ დაგვნებდნენ. ხელთ ვიგდეთ ბატალიონის მთელი საჭურველი და აღალი საომარ მასალიანად.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ქალაქ დებრეცენის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა მძიმე დამარცხება მიაყენეს მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფებს. საბჭოთა ქვეითები და ტანკისტები გერმანელებს დაედევნენ და ქალაქ დებრეცენის გარეუბნებს მიადგნენ. ამავე დროს ჩვენმა სატანკო და საკავალერიო შენაერთებმა შემოვლითი მანევრი განახორციელეს და მტრის ჯარებს, რომლებიც ქალაქს იცავდნენ, უკანდასახევი ყველა გზა მოუჭრეს. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა არ მისცეს გონს მოსულიყო და ირგვლივი თავდაცვა მოეწყო, კონცენტრირებულად დაარტყეს მას ყოველი მხრიდან და ქალაქის ქუჩებში შეიჭრნენ. გერმანელებმა გაფფრთხილებული კონტრიერიშები მოიტანეს, ცდილობდნენ რაღაც უნდა დასაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ქალაქი. ქუჩებში გამართულ ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს დებრეცენი—სიდიდის მხრივ უნგრეთის მესამე ქალაქი. დებრეცენი კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძია. აქ თავს იყრის შვიდი რკინიგზა და ექვსი გზატკეცილი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ქალაქისათვის წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია 2.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდალი დავლა და მრავალი ტყვე. ქალაქ დებრეცენის აეროდრომზე მოსპობილია გერმანელთა 24 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან ერთად, დღეს დილით იერიშით მიიტანეს მოწინააღმდეგის სამაგრეებზე ქალაქ ბელგრადის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გერმანელებს ფრიად ხელსაყრელი პოზიციები ეკავათ. მტრის გარნიზონი თავზეხელაღებული ავანაკაცებისაგან — სს-ელებისა და რჩეული საპოლიციო ნაწილების ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა. საბჭოთა და იუგოსლავიელმა მებრძოლებმა, რომლებიც წვრილწვრილ ჯგუფებად მოქმედებდნენ, ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დახმარებით სწრაფად მიიტანეს იერიში ჰიტლერელებზე და მოშალეს მათი თავდაცვა. ჩვენი ნაწილები სოლებად შეიჭრნენ იმ რაიონში, რომელიც მოწინააღმდეგეს ეკავა და მისი ჯარები ერთმანეთს მოწყვეტილ ნაწილებად დაანაწილეს. გერმანელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა და იუგოსლავიის ჯარების შეტევას. ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენმა მებრძოლებმა და ოფიცრებმა მაღალი სამხედრო ოსტატობა და უსაზღვრო სიმამაცე გვიჩვენეს. უფროს სერჟანტ ჯუმაევის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდმა მოსპო 3 ზარბაზანი, 5 ავტომანქანა და გაჰფანტა ჰიტლერელთა ორი ასეული. უმცროს ლეიტენანტ მალკოვის ტანკსაწინააღმდეგო თოფების ოცეულმა მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე წერტი მოსპო. მსროლელი ბატალიონის მებრძოლებმა ამხ. გრუნინის მეთაურობით გაელიტეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 13 ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი და ტყვედ წამოიყვანეს 228 ჰიტლერელი. დღეს დილით საბჭოთა და იუგოსლავიის ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი ბელგრადი. ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიის დედაქალაქი გაწმენდილია გერმანელ დამპყრობთაგან.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი, ნაღმოსანი და საგუშაგო ხომალდი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში ჩასძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 14 ათასი ტონა საერთო წყალწყვილა. ლიბავის რაიონში ტორპედოსანმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის დიდ ტრანსპორტზე. ტორპედი მოხვდა გემის უკანა ნაწილს. მოხდა ძლიერი აფეთქება, რის შემდეგ გერმანელთა ტრანსპორტი ჩაძირა.



რუმინეთში. საბჭოთა არტილერისტები ფრონტისაკენ მიდიან.
ფოტო ე. ხალდეისა (საკადესის ფოტოქრონიკა)

საკადესი უარჰყოფს

ამერიკულმა გაზეთმა „ჩიკაგო სანმა“ გამოაქვეყნა ცნობა თავისი ლონდონელი კორესპონდენტისა, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს იმ პოზიციას ადგას, რომ საფრანგეთი დაშვებულ არ უნდა იქნას გერმანიის სამხედრო ოკუპაციაში მონაწილეობის მისაღებად. კორესპონდენტის სიტყვით, საბჭოთა კავშირს თითქოს ასეთივე პოზიცია უკავია იმ პატარა ქვეყნების მიმართ, რომელთა ჯარებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან. გარდა ამისა, იგივე კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ სსრ კავშირი თითქოს წინადადებას იძლევა, რათა საფრანგეთი განხილულ არ იქნას როგორც დიდი სახელმწიფო მანამდე, ვიდრე იგი ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენით არ დაამტკიცებს, რომ ასეთს წარმოადგენს.

საკადესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ „ჩიკაგო სანის“ კორესპონდენტის ყველა ეს მტკიცება სიცრუეა და სრულებით არ შეესაბამება საბჭოთა მთავრობის პოზიციას.

კიროვის რაიონის საწარმოთა წარმატებანი

20 ოქტომბერს ლ. ბ. ბერიას სახელობის კულტურის სახლის შენობაში შესდგა თბილისის კიროვის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. თათბირმა განიხილა მეორე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის ამხ. ხ. ჩადრანოვისა და ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის ამხ. ნ. ჯაშიაშვილის მოხსენებები მათს საწარმოებში საოქტომბრო შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ბაზარაძემ (ტყავის პირველი ქარხანა), ალიენკომ (საპნის ქარხანა), მხიტარიანმა (ცელულოიდის ფაბრიკა), ავეტოვმა („სარეწაო საბჭოს“ გამგეობა), აბუსერიძემ (ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟი“), ჯაბუხაძემ („თბილ-ვაჭრობა“) და ხეჩინოვმა (ჯაგრის ფაბრიკა).

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. ბ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. ხოშტარიამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ რაიონის საწარმოებში უდიდესი შრომითი აღმავლობაა. ომის დროის სტახანოველები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და დამატებით პროდუქციას აძლევენ ფრონტსა და სამშობლოს. მეორე სამკერვალო ფაბრიკამ ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით 11.857 პალტო შეკერა. კიდევ უკეთ იმუშავა ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც გეგმის გადამეტებით 17.500 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადა.

საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში ამ საწარმოებმა დიდად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი და შეამცირეს თვითღირებულება. თერძებმა დაზოგეს 57.943 მეტრი შალეული და ბამბის ქსოვილი, რომლითაც გეგმის გადამეტებით 4.566 პალტო შეკერეს. ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში კი დაზოგილი ტყავეულით 3.000 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადეს. მეორე სამკერვალო ფაბრიკამ იკისრა 10 თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.100.000 მანეთის პროდუქცია. ეს დაპირება სრულდება. უკვე 20 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით დამზადებულია 1.060.000-მდე მანეთის პროდუქცია. ფაბრიკამ თვითღირებულება 0,2 პროცენტის ნაცვლად 0,3 პროცენტით შეამცირა და სექტემბერში დაზოგა 5.542 მეტრი ქსოვილი. მეფეხსაცმლეებმა 10 თვის საწარმოო დავალება შეასრულეს 12 ოქტომბრისათვის, ანუ 5 დღით ადრე, ვიდრე ეს ვალდებულებით ჰქონდათ ნაკისრი. ფაბრიკამ 10 ოქტომბრისათვის 116 ათასი დეცემბერი ტყავეული დაზოგა, ნაკისრი ვალდებულების მიხედვით კი სექტემბერსა და ოქტომბერში უნდა დაზოგა 120 ათასი დეცემბერი. კარგი მუშაობით გამოირჩევიან ამხანაგები მ. მიხეიძე, ს. შაინიანი, თ. ლომიაშვილი, მ. რომანოვსკაია, მ. კვლაშვილი, ა. ნერსესიანი, ს. ხუციელავა, ფ. ვორონოვა, ვ. მარკოზაშვილი და სხვ.

წარმატებით ასრულებენ საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ავრეთვე რაიონის მთელი რიგი საწარმოები. მეექვსე სამკერვალო ფაბრიკამ წლიური გეგმა 10 ოქტომბრისათვის შეასრულა და 99 ათასი შანეთის ზეგეგმიური პროდუქცია გამოუშვა. ასევე მაღალი ტემპებით მუშაობენ ბამბისა და საგალანტერიო ფაბრიკები. საპნის ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები. შეჯიბრების დღეებში თავი დააღწიეს ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ ძაფსართავი ფაბრიკა, ქარხანა „პლასტრეზინა“ და სხვ.

ამასთან თათბირზე აღინიშნა მთელი რიგი ხარვეზითი ნაკლოვანებანი. შრომის ცუდი ორგანიზაციისა და საამქროებსა და აგრეგატებში მუშახელის ნაკლებობის გამო ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს მოწყობილობის მოცდენას. მაგალითად, ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟში“ 9 თვეში მოწყობილობა მოსცდა 59.473 კაცსაათს, ცელულოიდის ფაბრიკა სექტემბერში 17 სამუშაო დღე იდგა. ტყავის მეორე ქარხანაში დანაგარები 9 თვის განმავლობაში 11.877 საათს მოსცდა. რაიონის ზოგი საწარმოს პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას. ამით აიხსნება ის, რომ ქეჩის უაბრიკა, ქიმკომბინატი, ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟი“, „მონკაეშირის“ საწარმო, ტყავის მეორე ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საოქტომბრო შეჯიბრების მსვლელობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის მაღალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვედრისათვის.

მოვემზადოთ თბილისის მომავალი სეზონისათვის

თბილისში წარმატებით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების რემონტის და კეთილმოწყობის ორთვიური. მოსახლეობა მასობრივ მონაწილეობას იღებს საცხოვრებელი სახლების სანიტარულ-ტექნიკურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში. სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის დროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ საჭიროა მომზადება თბობის ძმიანალი სეზონისათვის.

ხანძრის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობის შედეგად ადგილი ჰქონდა ხანძრის შემთხვევებს. იანვარში ახოსპირელის ქუჩის № 3 სახლში მოქალაქე ხეთაგურის ბინაში გაჩნდა ხანძარი. როგორც გამოირკვა, მიზეზი იყო საკვამურის გაუშენდობა. იმავე ხანებში მოქალაქე ჯანიაშვილის ბინაში გაჩნდა ხანძარი და დიწვა მთელი შინაგანი ელექტრო-გაყვანილობა. ამის მიზეზი ის იყო, რომ შობინადრეები ყალბიანი დამცავების ნაცვლად იყენებდნენ მავთულის ნაწყვეტებს და გასათბობი ელექტროხელსაწყოებით ზედმეტად ტვირთავდნენ განათების ელექტროქსელს. აკოფიანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში ხანძარი გაჩნდა იმის გამო, რომ დროებითი ღუმელი ძალიან ახლოს იდგა ხის კონსტრუქციებთან.

საჭიროა დროზე ჩატარდეს მუშაობა მომავალ ზამთარში ამგვარ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფას, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე კომენდანტებს და სახლმმართველებს დაავალა ჩატარონ ყველა საჭირო სამუშაო, რაც თბობის სეზონისათვის მზადებასთან არის დაკავშირებული.

ამავე დადგენილებით „თელასს“ დაევალა არ მისცეს ელექტროენერგიით სარგებლობის უფლება იმ სახლებს, სადაც ელექტროგაყვანილობა უწესივრო მდგომარეობაში იქნება. ეს დადგენილება უკვე ხორციელდება: ის სახლები, სადაც სახლმმართველებად არიან ამხ. ბაქრაძე, სალაძე, გორგაძე, ერისთავი, კოკაია, გიორგობიანი და სხვ. გამორთული არიან ელექტროქსელიდან ელექტრომეურნეობის სათანადო მდგომარეობაში მოყვანამდე.

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის დროს კომენდანტებს და სახლმმართველებს ყურადღებიდან არ უნდა გამორჩეთ ისეთი საკითხები, როგორიცაა გასათბობი ხელსაწყოების რემონტი, საკვამურების გაწმენდა, ელექტრომეურნეობის წესრიგში მოყვანა და სხვ. საჭიროა დიდი მუშაობა ჩატარდეს აგრეთვე ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარის, კასრების, ყუთების, ვედროების, ნიჩბების და სხვ. შესაკეთებლად.

ქალაქის მოსახლეობაში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის უსასტიკესი დაკვისათვის. არ უნდა დავუშვათ ტიხრების, საკუჭნაოების, სამზარეულოების მოწყობა, სახლების დაშენება, თუ ამისათვის არ იქნება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების ნებართვა. უნდა განმარტოს მოსახლეობას, რომ არ შეიძლება ნავთქურებში და პრიმუსებში ბენზინის ხმარება, არ შეიძლება ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება, სახანძრო ინვენტარის სხვა საჭიროებისათვის გამოყენება და სხვ.

ყოველ სახლში უნდა იყოს წყლის და ქვიშის მარაგი. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახანძრო რაზმის ტელეფონის ნომერი. სახლებში თვალსაჩინო ადგილს უნდა იყოს გამოკრული სახანძრო რაზმების ტელეფონის ნომრები. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რკინის დროებითი ღუმელების დადგმის დროს საჭიროა სახანძრო უშიშროების ყველა წესის დაცვა და არ შეიძლება მათი ექსპლოატაცია შინსახკომის რაიონული სახანძრო ინსპექციის ნებადაურთველად.

ყველა საჭირო ღონისძიებათა გატარებით მოვამზადოთ ჩვენი სახლები თბობის მომავალი სეზონისათვის და ამით თავიდან ავიცილოთ ხანძრის გაჩენის შესაძლებლობა.

ე. პაპკოვრია

სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი, საქართველოს სსრ შინსახკომის თბილისის საქალაქო გასამხედროებული სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი.

დიპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 20 ოქტომბერი. (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ბრესკენსის სამხრეთით და აჩქამად ამყოფებიან ორ მილზე სკოონდეიკედან და ოოსტბურგიდან. მოკავშირეთა სხვა ნაწილებმა წინ წაიწიეს ლეოპოლდის არხის ხიდწინა სიმაგრიდან და დაიკავეს ორი სოფელი. ორივე ნაწილების პატრულები შეერთდნენ ოოსტბურგის სამხრეთით მდებარე რაიონში.

ვენრაის სამხრეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა, მიუხედავად მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობისა, რამდენადმე წაიწიეს წინ. იმ ნაწილებმა, რომლებიც აახენში იბრძვიან, წარმატებებს მიაღწიეს. გრძელდება ოპერაციები ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე რაიონის გასაწმენდად.

გრძელდება ბრძოლები მეზიერეს-ბ[illegible] რაიონში.

ეპინალის სასტორი[illegible] ადგილად მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობ[illegible]. კავშირეთა ნაწილები განაგრძობენ წინსვლას ვოგეზების მთისძირებში.

მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთ[illegible] ავიაგამანადგურებელთა დიდი რაოდენ[illegible] თანხლებით 19 ოქტომბერს დღისით [illegible] მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე მანა[illegible] ლიუდვიგსჰაფენისა და მანჰაიმის რაიონ[illegible] სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში. 19 ოქ[illegible] ბერს ღამით მძიმე ბომბდამშენთა დიდი [illegible] ნაერთები თავს დაესხნენ შტუტჰარტსა [illegible] ნიურნბერგს. თავდასხმა განიცადა ბ[illegible] ვისბადენმა (რაინის ოლქი).

საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

ლონდონი, 20 ოქტომბერი. (საკადესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მე-8 არმიის ნაწილებმა დასძლიეს გერმანელთა წინააღმდეგობა მდინარე სავიოს აღმოსავლეთით და შევიდნენ ჩეზენში, 17 მილზე რიმინი-ბოლონიას გზიდან. ჩეზენის აღმოსავლეთით მე-8 არმიის ინგლისელთა ნაწილები განაგრძობენ წინსვლას მდინარე სავიოსაკენ.

ფრონტის ცენტრალურ უბანზე, გალეატის სამხრეთით, მე-8 არმიამ ერთგვარი წარმატებები მოიპოვა. ბოლონიის სამხრეთით [illegible] ბრძოლები გრძელდება. მე-5 არმიის [illegible] კელთა ნაწილები სძლევენ მტრის წინააღ[illegible] გობას და წინსვლას განაგრძობენ. [illegible] ლებმა გაათავისუფლეს ქალაქი ლორენცა[illegible]

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის [illegible] 900-ზე მეტი თვითმფრინავგადაფრენა მოახ[illegible]

გერმანელთა უკანდახევა სამხრეთ [illegible] ძნეთიდან მზარდი სისწრაფით გრძელ[illegible] ინგლისელთა მეწინავე ნაწილებმა თუნე [illegible] კავეს.

მოკავშირეთა ჯარები ფილიპინის კუნძულებზე გადასხდნენ

ლონდონი, 20 ოქტომბერი. (საკადესი). რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი კომბინირებული ოპერაციების შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს კუნძულ ლეიტეს (ფილიპინის კუნძულები) აღმოსავლეთი სანაპირო. მოკავშირეთა ჯარებს მცირე ზარალი მოუვიდათ. გადასხდომას წინ უძღოდა ენერგიული დაბომბვა ჰაერიდან და არტილერიის დაშენა ხომალდებიდან. მოკავშირეთა სახმელეთო ჯარები დაკავებულ პლაცდარმს აფართოებენ. შემდეგ ცნობაში აღნიშნულია, რომ სადესანტო ოპერაციები ხორციელდება იმ რაიონში, სადაც [illegible] ლაგებულია იაპონელთა დიდი არმია [illegible] მძრმალ ტერიტორიის სარდლობით.

ტოკიო, 20 ოქტომბერი. (საკადესი). [illegible] მეი ცუსინის სააგენტო იმოწმებს [illegible] საიმპერატორო მთავრობანაკის ცნობას, [illegible] გადმოგვცემს, რომ ამერიკელთა ხომალდ[illegible] მათ შორის ტრანსპორტები, 18 ოქტომბრ[illegible] მოკიდებული, ბომბავენ ჰაერიდან და [illegible] ლერიას უშენენ ხომალდებიდან კუნ[illegible] ლეიტეს სანაპირო რაიონს. ამერიკის ჯ[illegible] კუნძულ სულუანზე (ფილიპინის კუნძ[illegible] ცენტრალური ნაწილი) გადასხდნენ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ულანეკა, 20 ოქტომბერი. (საკადესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სიენიცე და ამით გერმანელებს გადაუჭრეს იბარის ხეობიდან მდინარე ლიმის ველისაკენ მიმავალი უკანასკნელი კომუნიკაციები.

მაკედონიაში იუგოსლავიელთა და ბულგარელთა ნაწილები კვლავ ავიწროებენ გერმანელებს აღმოსავლეთიდან ვარდარის ველის მიმართულებით. გერმანელები გააფთრებით იცავენ სტრაცინ-კუმანოვო-სკოპლეს ხაზს. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ამ სექტორში გაელიტეს 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპობილია დიდძალი სამხედრო ტექნიკა. მარცხით დამთავრდა გერმანელთა ყველა ცდა დაეკავებინათ კაჩანიკის ხეობა.

მეტახიაში იუგოსლავიელთა და ალბანელ[illegible] ნაწილებმა გათავისუფლეს ჯაკოვიცი და [illegible] დასჭრეს ყველა კომუნიკაცია ქალაქებს პრ[illegible] რენსა და პეჩს შუა. აღმოსავლეთ ბოსნ[illegible] დაკავებულია ქალაქი გრადაჩაცი და [illegible] მეთხებით დარღვეულია დობოი-ბრჩკის კო[illegible] ნიკაცია.

ხორვატიაში დაკავებულია მტრის [illegible] დასაყრდენი პუნქტი წმ. კლარა, ზაგრებ[illegible] ოთხი კილომეტრის მანძილზე. ზაგრებ-ლ[illegible] ლიანის, ზაგრებ-კარლოვაცის და ზაგ[illegible] ბროდის რკინიგზის ხაზები 280-ზე მეტ [illegible] გილს არის აფეთქებული.

დალმაციაში იუგოსლავიელთა ნაწილ[illegible] დაიკავეს პუნქტი ხერეცეგ ნოვი-დუბროვნ[illegible] ხაზზე, რითაც გერმანელთა ჯარებს წაკ[illegible] ვეს სამხრეთიდან ზღვისპირით უკანდახ[illegible] შესაძლებლობა.

მდგომარეობა უნგრეთში

სტოკჰოლმი, 20 ოქტომბერი. (საკადესი). გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდენნგენის“ სპეციალური კორესპონდენტი ბუდაპეშტიდან იუწყება: „სალაში მიხვდა, რომ მას არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნია დაეუფლოს უნგრეთში არსებულ მდგომარეობას, და წავიდა ბერჰტესგადენში, სადაც სთხოვა ჰიტლერს გაედიდებინა გერმანიის მხრივ დახმარება. ჰიტლერმა უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა და ნაცვლად ამისა მოთხოვა, რომ სალაშის მთავრობამ დაუყოვნებლივ შეჰქმნას უნგრული „სასიკვდილო [illegible] წირულთა რაზმები“. აქაურ კარგად ინფორ[illegible] მირებულ უნგრულ წრეებში ფიქრობენ, [illegible] ნაცისტურ მთავრობას ბუდაპეშტში 20 ან [illegible] ოქტომბერს გადამწყვეტი კრიზისი ექნება“.

ი. ანდრონიკაშვილის საღამო

შაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) შესდგება ზეპირი თხრობის ოსტატის მწერალ ირაკლი ანდრონიკაშვილის ლიტერატურული საღამო.

საღამოს მთელი შემოსავალი გადაეცემა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდს.

თეატრებში

21 ოქტომბერს: სახელმწიფო ოპერა — „დასი“. რუსთაველის სახელობის — „უდანაშაულო დამნაშავენი“. მარჯანიშვილის სახელობის — „ყამთაბერის ასული“. გრიბოედოვის სახელობის — „თოვა და ავი ძაღლი“. სომხური — „სომხის ქალი“. ახუნდოვის სახელობის — „ქალწულის კოშკი“.

კინოებში

21 ოქტომბერს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და დამკვრელი — „გრიგალი“. სპარტაკი — „ოქროს გასაღები“. ლუქსემბურგის სახელობის — „მოსკოვის ცა“. 26 კომისრის სახელობის — „ჩაპაევი“.

პროფესორ ა. რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა

21 ოქტომბერს სტალინის სახელობის [illegible] ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგ[illegible] პროფესორ ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი [illegible] ძღვნილი საჯარო სხდომა.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საქართ[illegible] ლოს სსრ განათლების სახალხო კომისარი [illegible] ვ. კუპრაძე.

მოხსენებებს წაიკითხავენ: აკადემიკ[illegible] შ. ნუცუბიძე — „ა. მ. რაზმაძის ცხოვ[illegible] და საზოგადოებრივი მოღვაწეობა“; მეცნ[illegible] ბის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორ [illegible] გოკიელი — „ა. მ. რაზმაძის შემოქმედება [illegible] პედაგოგიური მოღვაწეობა“.

მოგონებებით ა. მ. რაზმაძის შესახებ გამ[illegible] ლენ მეცნიერების დამსახურებული მოღ[illegible] პროფესორი ა. ხარაძე და აკადემიკოსი ბ. [illegible] ნიძე.

სხდომა შესდგება სახელმწიფო უნივერსიტ[illegible] ტის საქტო დარბაზში (მარის ქ. № 1), საღ[illegible] მოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ქ. მეფარიშვილი, გ. ლებანიძე, თ. ფალავანდიშვილი იუწყებიან გიორგი ცქიტიშვილის დედის **ანა დავითის-ასულ ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.

დავით ბასილაშვილი მეუღლე გუგულით იუწყება დეიდის **ანა დავითის-ასულ ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები კონსტანტინე, ევგენი კვარაცხელიები, ძაბული გაბედავა, ვლადიმერ სოხაძე ოჯახობით იუწყებიან **შოშია კვარაცხელიას** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილი ლუბა, დები ვალენტინა, ნინო შვილებით, ძმა სერგო, სიძეები ალექსი ჩიჩიძე, ვლადიმერ დურახანოვი იუწყებიან **ვიქტორ პეტრეს-ძე ჭილაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X, 7 ს. გამოსვენება 22/X, 1 ს. ლერმონტოვის, 20.

მეუღლე ფედოსია, შვილები გივი, მარგო, ანა, სიდედრი ნადია, სიძეები ფილიპე, აკაკი, ცოლისძმა ალექსანდრე საგანელიძე იუწყებიან